სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ გამოშვებული სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის და მომსახურების ძირითადი ხელშეკრულება

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტი უფლებამოსილია შესაბამისი ნომინალური ღირებულების გადახდის შემთხვევაში შეიძინოს ბანკისაგან შეუზღუდავი რაოდენობის სადეპოზიტო სერთიფიკატი.

1.2. კონკრეტული სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა დასტურდება ბანკსა და კლიენტს შორის **სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის** ხელშეკრულების (შემდგომში - ნასყიდობის ხელშეკრულება) გაფორმების გზით.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ძირითად ხელშეკრულებას და მისი პირობები სრულად ვრცელდება მის ფარგლებში გაფორმებულ ყველა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირებადი სადეპოზიტო სერტიფიკატი არის **სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი** და მასზე ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანების მოთხოვნები.

1.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ სტანდარტული და არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების ძირითადი პირობებს“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: www.halykbank.ge., წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არეგულირებს სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებულ მომსახურების პირობებსა და მხარეთა უფლება - მოვალეობებს. წინამდებარე ხელშეკრულებასა და ძირითად პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. **ბანკი ვალდებულია:**

2.1.1. უზრუნველყოს სადეპოზიტო სერტიფიკატზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდა ნასყიდობის ხელშეკრულების პირობის შესაბამისად.

2.1.2. სერტიფიკატის ვადის დასრულებისას, დაუბრუნოს კლიენტს სერტიფიკატის ღირებულება სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ სტანდარტული და არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების ძირითადი პირობების (შემდგომში - ძირითადი პირობები), წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.1.3. უზრუნველყოს კლიენტის ინფორმირება საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შესახებ მის განხორციელებამდე 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე შესაბამისი წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გზით (წერილობით ან ელ. ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით). წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ. კლიენტს ასევე 1 (ერთი) თვით ადრე მიეწოდება ინფორმაცია სერტიფიკატის ვადის გასვლის შესახებ.

2.1.4. დაიცვას ძირითადი პირობების, ძირითადი ხელშეკრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები.

2.1.5. დაიცვას საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდისას.

2.2. **ბანკი უფლებამოსილია:**

2.2.1. ურთიერთშეთანხმებულ ფასად გამოისყიდოს კლიენტისაგან სადეპოზიტო სერტიფიკატი.
2.2.2. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და ბანკს წარმოეშობა შესაბამისი უფლება მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სადეპოზიტო სერტიფიკატის ხარჯზე.

2.3. **კლიენტი უფლებამოსილია:**

2.3.1. მიიღოს სრული ინფორმაცია სადეპოზიტო სერტიფიკატის მდგომარეობის შესახებ.
2.3.2. მიიღოს სადეპოზიტო სერტიფიკატზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანხა ძირითადი პირობების, წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულებითა და ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.
2.3.3. ძირითადი პირობების, წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოითხოვოს ბანკისაგან სადეპოზიტო სერიფიკატის გამოსყიდვა.
2.3.4. ძირითადი პირობების, წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბანკის დამატებითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი.

2.4. **კლიენტი ვალდებულია:**

2.4.1. დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
2.4.2. შეინახოს წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულება და სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენასთან დაკავშირებული ბანკის მიერ გადაცემული სხვა სამართლებრივი ხასიათის მქონე ყველა დოკუმენტი.

3. კომუნიკაციის წესი

3.1. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების/ძირითადი პირობებისა/ კლიენტთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა ან/და მათთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების/შეთანხმებების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულებით/ კლიენტთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ან/და მათთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით/შეთანხმებ(ებ)ით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა). ნებისმიერი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება: შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაეცემა პირადად ან საკურიერო მომსახურების მეშვეობით - მიღების დღეს, უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული შესაბამისი მონიშვნით; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია შეკვეთილი წერილით - გაგზავნიდან მესამე კალენდარული დღე (საფოსტო ორგანიზაციის მიერ გაგზავნისას გაცემული დოკუმენტის თარიღის მიხედვით); შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით-შეტყობინების გაგზავნის დღეს; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაცემულია მობილური ან სხვა სატელეფონო კავშირის მეშვეობით (ხმოვანი შეტყობინებებისათვის) - ზარის განხორციელების დღეს; შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაცემულია მობილური კავშირის მეშვეობით (მოკლე ტექსტური შეტყობინებებისათვის) - მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის დღეს.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და სერტიფიკატის თანხის ვადამდე მოთხოვნა ბანკისგან, სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე დაუშვებელია. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვით.

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები გავრცელდება უკვე გამოშვებულ სერტიფიკატებზეც, თუ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

5.3. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელი შეცვლის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებს, მათ შორის: მისამართს, ტელეფონის ნომერს ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს უკანაკნელი ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ინფორმაციის მიღებად

5.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ჩაითვლება დასრულებულად მხარეების მიერ მასში მოცემული ყველა პირობის შესრულებისას, სრული ურთიერთანგარიშსწორების შემდეგ.

5.5. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, ნასყიდობის ხელშეკრულებით ან/და სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურების ძირითადი პირობებით, მაგრამ ეხება ხელშეკრულების საგანს, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.6. ყველა დავა და უთანხმოება, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს შორის ხელშეკრულების მოქმედების დროს, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

5.7. კლიენტი უფლებამოსილია წარადგინოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში ზეპირი თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე www. halykbank.ge.